

ქუთაისს მერი აღარ ჰყავს

„სირცხვილი იმ ქუთაისს, გონა თევდორაძის გადასაწყვეტი რომ გახდება, ვინ უნდა იყოს ქალაქის მერი!“

ხმაურთანაა დაკავშირებული 12 აპრილს ქუთაისის საკრებულოს რიგგარეშე 45-ე სხდომაში. ჯერ იყო და არდაწყებულ სხდომაზე საკრებულოს უმცირესობაში დარჩენილი „ნაციონალები“ საკრებულოს თავმჯდომარეს რუსული მარშით და გონა თევდორაძის კარიკატურით შეეგებნენ, შემდეგ კი ყოფილი თანაპარტიელებისათვის „საქებარი“ სიტყვები არ დაიშურეს.

სოხამ მერს 14 ხმით, 5-ის წინააღმდეგ, უნდობლობა გამოუცხადა. უმრავლესობის გადაწყვეტილებას საკრებულოს სხდომათა დარბაზში მყოფი „ნაციონალების“, მუნიციპალიტეტების და ბრეგაძის გულშემოტივარი მოქალაქეების უკმაყოფილება მოჰყვა. დაპირისპირება სიტყვიერ შეურაცხყოფასა და გაწვევა-გამოწვევაში გადაიზარდა. „ვირთხები და მოლაპტეები“ — მსგავსი შეფასება მისცეს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრებს, საკრებულოს დარჩენილი „ნაციონალები“ წევრებმა.

სხდომის გამო განცხადება გამეკეთებინა. პირველ რიგში, მინდოდა მადლობა გადამეხადა ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც 24 საათის განმავლობაში ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და დღესაც აგრძელებს თავის საქმიანობას. იმედი მაქვს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოვლენ, პირველ რიგში, ქალაქზე იზრუნებენ, ასევე იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა დაწყებული პროექტი გაგრძელდება და დასრულებულ სახეს მიიღებს.“ — განაცხადა ბესიკ ბრეგაძემ.



ბესიკ ბრეგაძე (ირობა ხახუბაშვილი) ©

„რა სინდისით უნდა შეხედოთ თქვენს შეილებს თვალეში, ამ გადაწყვეტილების შემდეგ? სირცხვილი იმ ქუთაისს, გონა თევდორაძის გადასაწყვეტი რომ გახდება, ვინ უნდა იყოს ქალაქის მერი!“ — ისმოდა სხდომათა დარბაზში. გადაწყვეტილებით შეწუხებულმა ქუთაისის აწ უკვე ყოფილი მერმა კი მცირე კომენტარი გააკეთა: „არ მომეცა საშუალება, დაძაბული

უნდობლობა, ვინაიდან ბესიკ ბრეგაძე მივლინებაში საკრებულოს თავმჯდომარის თამაზ მარგველაშვილის გადაწყვეტილებით იყო წასული.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ქურნალისტი გოლო პრთი თვის განმავლობაში ორჯერ გაქურდას

იხილეთ მე-4 გვერდზე

კოლხური შაღრაპანი ჩართეს

იხილეთ მე-4 გვერდზე

პრეზიდენტი სააკაშვილი პროკურატურის საგამოკიებო ჯგუფთან თანამშრომლობას არ აპირებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ბიზნესსექტორი „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამას“ მოეხდებოდა შესვლა

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქართულ საზოგადო მოღვაწეთა ავტობრაზის გამოშენა

იხილეთ მე-5 გვერდზე

როგორ მოვიქცეთ, თუ ძალმა გვიკბინა?

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმეორონი

ქიმეორონი

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.




წიგნები უნ გალოდავა!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმეორონი“, ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056



საჯარო სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ

მარგველაშვილი გამომცემელთა „გაკულაკებას“ შაშკინის „მუხლით“ ახდენს?

2013-2014 სასწავლო წლისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 650000 ათასი მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს. ამის შესახებ განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა თბილისის 145-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას გააკეთა. მინისტრის ამ განცხადებას კი საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და მძაფრი კრიტიკა მოჰყვა.

„საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა. წელს პირველად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შეიძენს.

თითოეული ოჯახი ყოველწლიურად, ერთი მოსწავლის სახელმძღვანელოების სრულ პაკეტში 100-160 ლარს იხდიდა, ორი მოსწავლის შემთხვევაში კი — 200-320 ლარს.“ — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ექიმი სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა
 იხილეთ მე-4 გვერდზე

მკვლელობა ქუთაისში
 იხილეთ მე-4 გვერდზე

ბიზნესსექტორი „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამას“ მოეზაღებულ შეხვედრა

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ახალი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ხელისუფლება მიმდინარე წელს ამ სექტორში დიდი ფინანსური კაპიტალის მოზიდვას ვარაუდობს. სოფლის მეურნეობის გამოცდების მიზნით, „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ ფარგლებში იაფი და გრძელვადიანი სესხის გაცემა უკვე მიმდინარეობს. პროგრამის განხორციელება მარტის ბოლოს დაიწყო. 11 აპრილის მონაცემებით კი, პროგრამის მეორე კომპონენტში — 21, მესამეში კი 2 სესხა დამტკიცებული. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე შალვა ფიფია ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ბანკები, ჯამში, 216 ბიზნესგანაცხადს განიხილეს. აქედან — 193 მეორე კომპონენტის სესხის გაცემას ითვლისწინებს, დანარჩენი 23 კი — მესამე კომპონენტისას.

„აქ საუბარია პერსპექტიულ განაცხადებზე, რომელთა უდიდესი ნაწილიც დაფინანსდება. ასევე აქტიურად მიმდინარეობს უპროცენტო განვადების გაცემაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკების მიერ. მაღალია მოთხოვნა მე-2 კომპონენტის სესხებზე, თუმცა მესამე კომპონენტისთვის უკვე დამტკიცებული 2 სესხი და 23 პერსპექტიული განაცხადი განხილვაში, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი სულ ორი კვირაა, რაც მიმდინარეობს,“ — გვითხრა შალვა ფიფიამ.

„შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ გასახორციელებლად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუშაობა გასული წლის დეკემბერში დაიწყო. შეხვედრები იმართებოდა ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან. მათთან კონსულტაციის საფუძველზე, პროექტის 3 კომპონენტი გამოიკვთა.

პირველი კომპონენტი მცირე ფერმერებს საშუალებას აძლევს, 5000 ლარის ფარგლებში 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტს (განვადება) მიიღონ. იმ შემთხვევაში, თუ კი ფერმერები კრედიტს 6 თვეში ვერ დაფარავენ, ყოველ მომდევნო თვეში მათ 3 პროცენტის გადახდა მოუწევთ.

უპროცენტო განვადებით სარგებლობისას, მაღალია ფერმერის შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი ანაზღაურებს.

საფინანსო ინსტიტუტსა და მაღალია ფერმერის შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი ანაზღაურებს. საფინანსო ინსტიტუტსა და მაღალია ფერმერის შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი ანაზღაურებს.

მეორე კომპონენტი საშუალო და მსხვილ ფერმერებზეა გათვლილი, იგი ითვალისწინებს 5000-დან 100 000 ლარამდე 2-წლიან აგროკრედიტის გაცემას. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 8 პროცენტზე მაღალი არ იქნება. მისი მიზანია საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით.

მესამე კომპონენტი 1 მლნ ლარამდე (ექვივალენტი აშშ დოლარში) სესხს შეადგენს. ეს არის აგროსაწარმოებისთვის განკუთვნილი 7 წლამდე შეღვათიანი აგროკრედიტი. მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 3 პროცენტზე იქნება. აგროკრედიტი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების ხანგრძლივი პერიოდით დაფინანსებას... სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული მესამე კომპონენტი, მინიმუმ, 60 საწარმოს განსნას ითვალისწინებს.

„შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტს“ „სოფლისა და სოფლის მეურ-

ნეობის განვითარების ფონდი“ აფინანსებს. მისი განმხორციელებელი კი „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოა“. ბანკების მიერ დამტკიცებულ პროექტზე დაბრუნებული პროცენტი, მაგალითად, 17 პროცენტი 2 წლიდან იყოფა: ბენეფიციარის მიერ გადასახდელი და სააგენტოს მიერ გადასახდელი თანხა. როგორც კი ბენეფიციარი თავის ვალდებულებას შეასრულებს, მეორე დღესვე სააგენტო მის წილ პროცენტს გადაიხდებს.

„ვითიბი ბანკში“ აცხადებენ, რომ „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ ფარგლებში, აგროსესხის მისაღებად მცირე და საშუალო ფერმერებისა და მეწარმეების აქტივობა საკმაოდ მაღალია. პროექტის განხორციელების პროცესში „ვითიბი ბანკი“ პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაერთო. დღისთვის, დამტკიცებულია 35-მდე სესხი, აქედან 20-ზე მეტი უკვე გაცემულია. ამ მომენტისთვის ბანკში 100-ზე მეტი განაცხადი წარდგენილი. „შემოსული განაცხადების უმეტესობა მე-2 და მე-3 კომპონენტს ეხება. ჯამში, ამ პროექტის ფარგლებში, „ვითიბი ბანკის“ მიერ დამტკიცებული და გაცემულია 2 მილიონ ლარამდე სესხი. სპეციალურად აღნიშნული პროექტისთვის შემუშავდა სესხის გაცემის ახალი პროცედურები, რამაც მნიშვნელოვნად შეამოკლა განაცხადის განხილვის და სესხის გაცემის ვადები,“ — ამბობენ „ვითიბი ბანკში“.

ქართულ საბანკო სექტორში აცხადებენ, რომ ბიზნესწრეები „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ განხორციელებას მომზადებული

შეხვედნენ. „უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესსექტორი საკმაოდ ორგანიზებულად შეხვედა პროექტის განხორციელებას. შემოსული ბიზნესგეგმების ძირითადი ნაწილი დამუშავებულია საკმაოდ კვალიფიციურად და დეტალურად. ამის გარდა, გამართული ბიზნესგეგმის შესაღწევად შესაძლებელია, ფერმერმა და მეწარმემ დახმარებისთვის მიმართოს „ვითიბი ბანკის“ ბიზნეს ანალიტიკოსებს, რომლებიც მათ კონსულტაციას და დახმარებას გაუწევენ,“ — გვითხრეს „ვითიბი ბანკში“.

„შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ ფარგლებში, ამ ეტაპზე, 200 ათასი ლარის სესხი აქვს გაცემული „პროკრედიტ ბანკს“. ჯამში, 15-მდე სესხია დამტკიცებული. დამუშავების პროცესშია 3 მლნ ლარამდე სესხი, რომლებიც, ძირითადად, მე-2 კომპონენტს ეხება. „პროკრედიტ ბანკში“ ამბობენ, რომ ფერმერებსა და მეწარმეებს ბიზნესგეგმას არ თხოვენ. „ბიზნესგეგმას არ ვთხოვთ. ჩვენ მათ ვეხმარებით თავიანთი ზოგადი ბიზნესგეგმის ჩამოყალიბებაში,“ — ამბობს „პროკრედიტ ბანკის“ აგრო რისკმენეჯერი გიორგი გაფაშვილი.

აფინანსებენ თუ არა ბანკები იმ პოტენციური ბენეფიციარის ბიზნესგეგმას, რომელსაც წარსულში ბიზნესი არ ჰქონია და ბიზნესსაქმიანობას სწორედ „შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ ფარგლებში იწყებს? „ვითიბი ბანკში“ აცხადებენ: „დიახ, სტარტაპის დაფინანსება შესაძლებელია. როგორც იცით, პროექტის მე-3 კომპონენტი სწორედ ახალი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. „ვითიბი ბანკი“ მზადაა, განიხილოს კლიენტების მიერ წარმოდგენილი ყველა პროექტი“.

„პროკრედიტ ბანკი“ სტარტაპებს იმ შემთხვევაში აფინანსებს, თუ კი კლიენტს შემოსავლის რაიმე წყარო გააჩნია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე შალვა ფიფია აცხადებს, რომ, თითოეული ინდივიდუალური შემთხვევა ბანკების განსახილველია, რადგანაც „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ არ შედის სესხების აღმინისტრირებაში არცერთ ეტაპზე. მისივე განმარტებით, „ბიზნეს გამოცდი-

ლებს არარსებობის შემთხვევაში ბანკში შეაფასებენ რისკებს და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას“.

ამ ეტაპზე, ბანკებში სესხის გაცემის პროცესი შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ბანკებიდან პოტენციურ ბენეფიციარებს პრობლემები არ ექმნებათ.

„დღეის მდგომარეობით ასეთ პრობლემებზე ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. ბენე-

ფიციარებისთვის პრობლემების შექმნა არაა ბანკების ინტერესში, პირიქით, მათ ინტერესებშია მაქსიმალურად დიდი პორტფელი გასცენ და საკუთარი მოგება გაზარდონ, თუმცა ეს კომერციული პროექტია, კაპიტალური რისკის უდიდესი ნაწილი ფინანსური ინსტიტუტებისა და ისინი დააფინანსებენ მხოლოდ მდგრად, ეკონომიკურად მომგებიან პროექტებს,“ — აცხადებს შალვა ფიფია.



0%

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლისა და სოფლის მეურნეობის
ბანკთაშორის ფონდი
სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო

I კომპონენტი

6-თვიანი უპროცენტო

სასაქონლო კრედიტი (განვადება)
მცირე ფერმერებისთვის

5000 ლარამდე

I კომპონენტში ჩვენი პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტებია:
ვითიბი • კონსტანტა • კრედიტ • კრისტალი • ლიბერთი ბანკი



მინიშუმ 60 ახალი საწარმო

არაუმეტეს 8%

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლისა და სოფლის მეურნეობის
ბანკთაშორის ფონდი
სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო

II კომპონენტი

შეღვათიანი აგროკრედიტი

საშუალო და მსხვილი
ფერმერებისთვის

5000 - 100 000 ლარამდე

არაუმეტეს 2 წლის

II კომპონენტში ჩვენი პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტებია:
ბანკბანკი • ბანკ რესპუბლიკა • ბანკ ქართლ • ვითიბი • თიბისი ბანკი •
კონსტანტა • კორ სტანდარტ ბანკი • ლიბერთი ბანკი • პროკრედიტ ბანკი • საქართველოს ბანკი • ხალიჯ ბანკი

არაუმეტეს 3%

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლისა და სოფლის მეურნეობის
ბანკთაშორის ფონდი
სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო

III კომპონენტი

არაუმეტეს 7 წლის

შეღვათიანი აგროკრედიტი

სასოფლო-სამეურნეო
საწარმოებისთვის

1 მილიონ ლარამდე

(ეპივალენტი აშშ დოლარში)

III კომპონენტში ჩვენი პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტებია:
ბანკბანკი • ბანკ რესპუბლიკა • ბანკ ქართლ • ვითიბი • თიბისი ბანკი •
კონსტანტა • კორ სტანდარტ ბანკი • ლიბერთი ბანკი • პროკრედიტ ბანკი • საქართველოს ბანკი • ხალიჯ ბანკი

კიმერიონი

qimerioni.ge



ნიგნუბი
უნ გელოდა!



მისამართი:
ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: (790) 927 927.

10 წლის შესრულებას და ოქროს დაბადების დღეს ვულოცავთ ლუკა მინდელს!
ჯანმრთელი, სასახელო და ქემარტი ვაჟკაცი გაზრდილიყოს მისი ოჯახისა და ჩვენი სამშობლოსთვის!

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია

14 აპრილი – ქართული ენის დღე

ქართული ენის ისტორია

დღევანდელ დღეს ჩვენთვის მთავარია, ჩვენს ენაზე გამართულად ვისაუბროთ, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, საიდან მოდის ქართული ენა, ევოლუციის რა ეტაპებს გავიდა, საით მიგვყავს იგი გაუმართავი საუბრით და რა საინტერესო ფაქტები უკავშირდება მას.

ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ნიშნავს, რომ ნებისმიერი არაქართველი ვალდებულია, ეცადოს მის შესწავლას, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა. ქართულ ენაზე ლაპარაკობს 4 მილიონამდე ადამიანი საქართველოს საზღვრებში. ასევე — აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე გვხვდება ქართული ენის რამდენიმე დიალექტი, რომლებსაც იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობას უნარჩუნებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მცირე ერის სახელმწიფო ენაა, მისი ურთულესი ბგერების გავება მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება. ამჟამად, ყველაზე ვრცელი ქართული დიალექტი რუსეთშია, შესაბამისად, საქართველოს საზღვრებს გარეთ ყველაზე მეტი ხალხი ამ ქვეყანაში ლაპარაკობს ქართულად.

წარმომავლობა
ქართული ენის წარმომავლობის შესწავლას უძველეს დროში გადაეცა ავართ. ქართული ენის ასოებისა და ჩვეული ნიშანდობის გავება მთავარი შედარებით ამა თუ იმ უძველეს ენასთან და ამ შედარებებისგან გამოტანილი დასკვნების თანახმად, ქართული ენა მიიჩნევა უძველესი „ქართველური ენის“ შთამომავლად. ზემოთხსენებული ენა კი ჩვ.წ-მდე 2000 წლით თარიღდება. ძველ ენათა სწავლულების თანახმად, ქართველური ენა მოგვიანებით გაიყო ორ ნაწილად — სვანური და ქართული, რომელიც მოგვიანებით გაიყო 3 ნაწილად: მეგრული, ლაზური და ქართული. ისტორიული ფაქტების მიხედვით, ქართული ენის შემდგომი ნაკვალავი ჩვ.წ-მდე მე-3 საუკუნეში ჩანს, ფარნავაზის მეფობის პერიოდში. სწორედ ფარნავაზის დროს შეიქმნა პირველი ქართული ანბანი (ასომთავრული). ანბანის შექმნასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, რის მიხედვითაც ფარნავაზმა ნახა ხილი, სადაც მის წინაშე მონაცვლეობდნენ ასოები. ასომთავრული ანბანის ნიმუშები აღმოჩენილია უძველეს ეკლესიებზეც.



ასომთავრულით დაიწერა უდიდესი ლიტერატურული ჰაგიოგრაფიული ძეგლი — „შუშანიკის წამება“, რომელიც მე-5 საუკუნით თარიღდება. ამ ტიპის ანბანი დიდი ხნის მანძილზე დარჩა ხმარებაში, მაგრამ მე-9 საუკუნეში ქართულ ენაში შემოვიდა ნუსხური დამწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ ნუსხური მე-9 საუკუნიდან შემოდის, პირველი ნიმუშები მე-10 საუკუნეში გვხვდება. ეს ნიმუშები მოიცავს კიდევ ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლს „აბო ტფილელს“. მე-11 საუკუნეში ქართული დამწერლობა კიდევ ერთხელ, ამჟამად ბოლოჯერ, შეიცვალა მხედრულით. მხედრული გამოდგა სხვა ყველა დამწერლობაზე სრულყოფილი. მხედრულის სრულყოფილება გამოიხატება მის შედარებით სიმარტივესა და ეკონომიურობაში. ამ ტიპის ანბანში ასოების რაოდენობა ემთხვევა ბგერების რაოდენობას, რაც მას მნიშვნელოვნად ამარტივებს. მხედრულს ანუ ქართულ ანბანს არანაირი მსგავსება არ გააჩნია სხვა ენებთან, უფრო მეტიც, იგი არის მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი.

დიალექტები
ქართული ენა მოიცავს 17-მდე ნაცნობ დიალექტს, ისინი, ძირითადად, 2 ჯგუფში არიან განაწილებული, ესენია: დასავლური და აღმოსავლური. ისინი ერთმანეთისგან შემდეგი ასპექტებით განსხვავდებიან: მორფოლოგიურად, სინტაქსურად, ფოლო-

გიურად და ლექსიკით. მიუხედავად ასეთი განსხვავებებისა, ნებისმიერი დიალექტი აგებულია სტანდარტული ენის სტრუქტურაზე. რამდენიმე დიალექტის ჩამოყალიბებაზე გავლენა მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი) ენებმა მოახდინეს. ალბათ, ყველას გასმენიათ ინგლო. ინგლისურიც არის ერთ-ერთი დიალექტი, რომელზეც აწ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები საუბრობენ. ეს ტერიტორია მდებარეობს ალაზნის ხეობის ნაწილზე. კიდევ ერთი „დამტრეული ქართული“ სამშობლოა კლარჯეთი — ტერიტორია, მთიანეთის თურქების მიერ. მე-3 ობიექტი უცხოურ ქართული დიალექტისა არის ფერდინანდო ქართული. ხალხი, რომელიც ამ ენაზე საუბრობს, ცხოვრობს ირანის ტერიტორიაზე. ისინი წარმოადგენენ მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული კახელების შთამომავლობას.

ქართული დიალექტების ჩამოყალიბებაზე უცხოელებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართველებიც „ზრუნავდნენ“. ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში ხალხი ისეთ დონეზე ამარტივებს ქართულ ენას, რომ მათ თავიანთი დიალექტები შექმნეს.

ლიტერატურა
ჰაგიოგრაფიული ნაშრომების გარდა, ქართულ კალამს შეუქმნია მრავალი შედეგრი, რომელთაც აღიარება

ჰპოვეს მთელს მსოფლიოში. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა მე-12 საუკუნის „ვეფხისტყაოსანი“. ეს პოემა აღიარებულია ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. იგი ითარგმნა მრავალ ენაზე, მაგალითად — ფრანგულზე, ესპანურზე, გერმანულზე, ინგლისურზე, ივრითულზე (ებრაული), რუსულზე, იაპონურზე, ჩინურზე და ა.შ. „ვეფხისტყაოსანი“ ასევე იყო ერთ-ერთი პირველი ნაბეჭდი ნაწარმოები, ბიბლიასთან ერთად, საქართველოს ისტორიაში 1712 წელს.

საინტერესო ფაქტები
ქართული ენა არის მსოფლიოში 120-ე ადგილზე მასზე მოლაპარაკე ხალხის რაოდენობის მიხედვით (რაოდენობა ითვლება მხოლოდ ეთნიკური ქართველებით ანუ 4 მილიონამდე). ქართულ ენაში არ არსებობს მდებარეობით ან მამრობითი „ის“. ქართული ზმნა ყოველთვის გულისხმობს თავის თავში ერთ, ორ ან სამ სუბიექტს (მაგალითად — გაუგზავნის ის, მას, მას (ეს ერთი სიტყვა სხვა ენაში მთელ წინადადებას მოიცავს). 1705 წელს მოსკოვში, მეფე არჩილ მეორის მითითებით, ნუსხური და ხუცური ანბანებით დაიბეჭდა „დავითნი“. 1712 წელს კი ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, „ბიბლია“ და „ახალი აღთქმა“.

ucnauri.com

შავი არქეოლოგია ისტორიულ ჰერეთში


აზერბაიჯანში, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ძველი, სამარხები და ნამოსახლარები გამოვლინდა. თუმცა ვათხრებს აქ არა არქეოლოგები, არამედ განძის მაძიებლები აწარმოებენ. მოპოვებული მასალებიდან ოქროს ნივთები ბაქოში მიღის გადასაღობად. ასევე ოქროს, ბრინჯაოსა და სხვა სახის მასალა, რომელსაც ისტორიული ღირებულება გააჩნია, სხვა ქვეყნებში გადის გასაყიდად.

ბრინჯაოსაგან დამზადებული მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელსაც სურათზე ხედავთ, განძის მაძიებელთა ერთ-ერთი ნადავლია. მეკობრულად მოპოვებულ რამდენიმე ნივთთან ერთად იგი გასაყიდად საქართველოში ჩამოიტანეს. პირი, რომელმაც ნივთები აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოიტანა, ამბობს, რომ იგი ზაქათალას რაიონშია ნაპოვნი, თუმცა ზუსტ ადგილს არ აკონკრეტებს. საქართველოში ჩამოტანილ ნივთთან

გან ერთ-ერთზე სურათის გადაღება მოხერხდა.

„ბევრგან ვყოფილვარ და შავი არქეოლოგების კვალი ყველგან ჩანს. კახის რაიონში ისიც მიხერხეს, თითქოს ერთ ქართულ ნასოფლარში ოქროს ნივთები უპოვიათ და ბაქოში წააღლიათ. დაახლოებით ორი წლის წინ კი, კახის რაიონული ცენტრის გასწვრივ მდებარე მთის, ულუბაშის ფერდზე, ნიაღვრის მოვარდნის შემდეგ ძველი სამარხები გამოჩნდა. ყოფილი ქართული სოფლის — სოსიკაანთ კარის ნასახლარებზე ახლა მთლიან ქვევრებს თხრიან და ჰყიდენ“.

როგორც ირკვევა, ისტორიულ ჰერეთის ტერიტორიაზე განძის მაძიებლები წლების განმავლობაში მუშაობენ. ისინი საფუძვლად იღებენ იმ ისტორიულ წყაროებს, სადაც ნათქვამია, რომ სახლს საძირკველში ოქროსა და ვერცხლს ატანდნენ.



ucnauri.com